პროგრამების შესაფების

წესი

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს შპს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი) მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შიდა და გარე მექანიზმებს.

2. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმები

1. საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მიზანია, დაადგინოს პროგრამის შესაბამისობა დასახულ მიზნებთან და განსაზღვროს, თუ რამდენად პასუხობს ის სტუდენტების, დამსაქმებლებისა და საზოგადოების ცვალებად და მზარდ საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

2. პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმების მეშვეობით ხდება საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და მონიტორინგი, მათი განვითარებისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ხორციელდება თვისებრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების ანალიზის მეშვეობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოიყენება:

- საგანმანათლებლო პროგრამასა და მის კომპონენტებთან მიმართებაში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა;
- პროგრამის სტუდენტების (აქტიური და შეჩერებული სტატუსის) რაოდენობა, პროგრამის განხმახორციელებელი პირების რაოდენობა და მათი თანაფარდობა;
- საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებისა და საჭიროებების ანალიზი;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სტუდენტთა ჩარიცხვის, მათი პროგრესიის, სტატუსის შეჩერების, შიდა მობილობის, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი და პროგრამიდან განთესვის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი;

- ➢ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- ➢ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის პერიოდული ანალიზი და რევიზია, მოცემულ დარგში უახლესი მიღწევების და ტენდენციების გათვალისწინებით;
- ➢ საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების ანალიზი;
- ➢ სწავლა- სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას;
- ➢ სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების შესაბამისობის შეფასება მოცემული პროგრამის მიზნებთან.

4. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები და მეთოდები:

- ✓ სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევა;
- ✓ სტუდენტთა ინსტიტუციური და სერვისებით კმაყოფილების კვლევა;
- ✓ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტების მიერ;
- ✓ პროგრამაზე მიღების შეფასება;
- ✓ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ✓ მობილობის კვლევა;
- ✓ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა/დასაქმების კვლევა;
- ✓ დამსაქმებლების გამოკითხვა/ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ;
- ✓ პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი.

5. პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მიზნებისთვის შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა ინსტუმენტები და მეთოდები.

6. შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით შეგროვებული მონაცემები აისახება პროგრამის ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშში. აღნიშნული ანგარიშის ფორმა თან ერთვის წინამდებარე წესს.

7. შიდა თვითშეფასების ანგარიში მოიცავს აღნიშნული მონაცემების ანალიზს, მის საფუძველზე გამოვლენილ პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს და გამოვლენილი პრობლემების/ნაკლოვანებების აღმოფხვრის სტრატეგიას.

8. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების ანგარიშს ამზადებს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მზადების პროცესში შესაძლოა ჩართული იყვნენ სხვა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის: სტუდენტ(ებ)ი, კურსდამთავრებულ(ებ)ი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სხვ.

9. პროგრამის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგროვებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტეთან და უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

10. შევსებული შიდა თვითშეფასების ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსახილველად კურიკულუმის კომიტეტს.

11. კურიკულუმის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ შიდა თვითშეფასებაში წარმოდგენილი პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე.

12. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შიდა თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, ასევე ანგარიშისგან დამოუკიდებლად, ამ წესში განსაზღვრული შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით გამოვლენილი შედეგებისა და მიგნებების საფუძველზე, განსხვავებული პერიოდულობით.

12. პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცედურები განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესსა და პროცედურებში“.

მუხლი **3.** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმებს წარმოადგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურები.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გარე შეფასების მიზნით მოიწვიოს უცხოელი ან/და ქართველი შესაბამისი დარგის ექსპერტები და მათ მიერ უზრუნველყოს პროგრამების შეფასება. გარე შეფასების პროცესში ასევე შესაძლოა ჩართულნი იქნენ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები, თუ მათთან არსებობს ამის შესახებ შესაბამისი შეთანხმება.

მუხლი **4.** დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.